



აქაკი წაკათლის
სახალმწიფო უწიკარსიბაბი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

კლასიკური ფილოლოგია

(Classical Philology)

ქუთაისი 2011

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: კლასიკური ფილოლოგია

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

ფილოლოგიის დოქტორი

Ph.D

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

პროგრამის მიზანი:

სადოქტორო პროგრამა არის ინტერდისციპლინარული. პროგრამა წარმოადგენს ჰუმანიტარული მეცნიერებების კომპლექსურ დარგს, რომელიც გულისხმობს წინარე ანტიკური და ანტიკური ეპოქების კულტურის სხვადასხვა ასპექტის კვლევას. მისი შემადგენელი სპეციალობები ტრადიციულია მსოფლიო საუნივერსიტეტო განათლების სისტემაში. საქართველოში ჰუმანიტარული მეცნიერებების ამ სფეროების შესწავლას მდიდარი ტრადიციები აქვს. პროგრამა მოიცავს ჰუმანიტარული მეცნიერებების სხვადასხვა სფეროს: ანტიკური ეპოქის, მედიტერანული და ბერძნულ-რომაული ცივილიზაციის, წინარე ანტიკური და ანტიკური ეპოქის სხვადასხვა კარდინალურ საკითხებს. პროგრამის მიზანი სრულად შეესატყვისება უნივერსიტეტის მისიას. სადოქტორო პროგრამის მიზანია შესძინოს დოქტორანტს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც მისცემს მას კლასიკური ფილოლოგიის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მუშაობის საშუალებას; ხელი შეუწყოს სწავლაში დამოუკიდებელი და თვითკრიტიკული, პასუხისმგებლიანი და ინიციატივიანი სპეციალისტის გაზრდას. დოქტორანტი შეძლებს კლასიკური ფილოლოგიის სფეროში პრობლემის დასმისა და სინთეზირებული მეთოდების გამოყენებით მის დამოუკიდებლად და ორიგინალური გზით გადაჭრას; ახალი ცოდნის შექმნასა და კვლევის თანამედროვე მეთოდების თუ მიდგომების შემუშავებას; ამ მიზნით ეფექტურად გამოიყენებს დამატებით რესურსებს; დამოუკიდებლად დაგეგმავს და უხელმძღვანელებს ჯგუფის მუშაობას; დოქტორანტს სრულყოფილად ექნება ათვისებული კლასიკური ფილოლოგიის სფეროში სამეცნიერო აპარატი და მას წარმატებით გამოიყენებს ამა თუ იმ პრობლემის ინტერდისციპლინარ და ინტერკულტურულ კონტექსტში ანალიზისას; კურსის დასრულების შედეგად ფართო კომპეტენციის ფარგლებში მოამზადებს სალექციო კურსებს არჩეულ სპეციალობაში; კლასიკური ფილოლოგიაში დაწერს მაღალკვალიფიციურ სამეცნიერო გამოკვლევებს; პრაქტიკულად გამოიყენებს ახალ მეთოდებს დამოუკიდებელი კვლევისას; სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორს ეცოდინება ენობრივი ტექსტის კომპიუტერული დამუშავებისათვის აუცილებელი პროგრამები, შეძლებს შეადგინოს მონაცემთა ბაზა ინდექსებითა და საძიებლებით; შეძლებს ბიბლიოგრაფიის მომზადებას თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით. კლასიკური ფილოლოგიის სფეროში განსწავლულობა, თანამედროვე ფილოლოგიური, ფილოსოფიური და ისტორიის მეცნიერებათა მეთოდების ცოდნა კურსდამთავრებულს საშუალებას

მისცემს გააანალიზოს და გამოსაცემად მოამზადოს კლასიკური ტექსტები და სიმბოლეთმცოდნეობითი არტეფაქტები შეისწავლოს სხვადასხვა თვალსაზრისით.

საკვლევითემატიკა:

სიზმრის ფენომენი ძველბერძნულ დრამაში

ესქილეს ტრაგედიების მითოპოეტური და ისტორიული კონტექსტი

მითოპოეტური სახე-სიმბოლოები და მოდელები ევრიპიდეს დრამატურგიაში

კონფლიქტის სტრუქტურა და კომპოზიციური ორგანიზაციის პრინციპები ძველბერძნულ პროზაში

დრო და სივრცე კვინტილიანუსის პროზაში

სინდისის ფენომენი ანტიკურ ლიტერატურაში

ანტიკური ეპისტოლარული მწერლობა

განათლების კონცეფცია ძველ საბერძნეთსა და რომში

რელიგიის საკითხები ელინისტური ეპოქის არქეოლოგიური მასალების მიხედვით

ძველი ბერძნული რომანის ჟანრული მოდიფიკაციები ანტიკურობაში

პროგრამის შედეგი:

დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება - უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე სწავლის შედეგად დოქტორანტმა უნდა შეიძინოს უპირველეს ყოვლისა დარგის (კლასიკური ფილოლოგია) ცოდნა, რაც მეცნიერების უახლეს მიღწევებს დაეყრდნობა, ასევე ზოგადად დარგთაშორის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც მას შეძენილი ცოდნის გაფართოების საფუძველზე მისცემს ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას სამეცნიერო მუშაობაში რეფერირებადი პუბლიკაციებისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე. ამაში მას დაეხმარება არჩევითი კურსების, ასევე დარგის სწავლების მეთოდოლოგიური მოდულში შემავალი კურსების შესწავლა. ყოველივე ამის საფუძველზე დოქტორანტმა უნდა შეძლოს მიღებული ცოდნის ხელახალი გააზრება, ნაწილობრივი გადაფასება და ამ გზით ცოდნის ახალი ფარგლების გაცნობიერება, მან ასევე უნდა გააცნობიეროს უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროება. დოქტორანტს ექნება კლასიკური ფილოლოგიისა და სიმბოლეთმცოდნეობის სფეროში ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც საშუალებას მისცემს მას მუშაობა წარმართოს

საერთაშორისო პუბლიკაციების აუცილებელი სტანდარტების დონეზე.; ექნება კლასიკური/ძველი ბერძნული, ლათინური/ენების იმდენად ღრმა ცოდნა, რომ შეძლებს ნებისმიერი სირთულის ტექსტის თარგმნას, დეტალურ ანალიზსა და მხატვრულ ინტერპრეტაციას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - დოქტორანტმა უნდა შეძლოს კლასიკური ფილოლოგიაში ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და მისი განხორციელება, მან ასევე უნდა შეძლოს ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით ახალი კვლევითი მიდგომების შემუშავება, რაც საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში აისახება. დოქტორანტის დისერტაცია მისი დაცვიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა გამოქვეყნდება წიგნის სახით, ან განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ელექტრონული ვერსიის სახით. სადისერტაციო ნაშრომი სამსახურს გაუწევს შესაბამისი დარგის სპეციალისტებსა და სტუდენტებს; კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელი იქნება სალექციო კურსების, სპეცკურსებისა და შესატყვისი მიმართულებით სამეცნიერო კვლევისათვის.

დასკვნის უნარი - დოქტორანტმა უნდა შეძლოს თავის საკვლევ სფეროში (ანტიკური ლიტერატურა, კლასიკური ენები) რთული, წინააღმდეგობრივი სამეცნიერო იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რეტროსპექტულად უნდა გაიაზროს პრობლემური საკითხები, შეძლოს სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, გამოიმუშავოს მკვლევარის უნარ-ჩვევები, დაეუფლოს სხვადასხვა კვლევით მეთოდოლოგიასა და პრინციპს, შეძლოს საკუთარი მიდგომისა და კონცეპტუალური პოზიციის შემუშავება, სამეცნიერო დებულებათა არგუმენტირება, სწორი მეცნიერული გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, აბსტრაქტული აზროვნება. ამ საქმეში მას დიდ სამსახურს გაუწევს ისეთი დისციპლინების შესწავლა, როგორცაა დარგის პრობლემური საკითხები, ლიტ. კვლევის თანამედროვე მეთოდები, ფილოსოფია, სამეცნიერო სემინარები, კოლოქვიუმები, სამეცნიერო ნაშრომთა პუბლიკაციები, დისერტაციის დაწერა.

კომუნიკაციის უნარი - ევროპული ენის მაღალ დონეზე ფლობა დოქტორანტს საშუალებას მისცემს საერთაშორისო სამეცნიერო სავრცეში სწრაფი ორიენტირებისათვის. დოქტორანტმა დასაბუთებულად და გარკვევით უნდა წარმოაჩინოს ახლად მიღებული ცოდნა არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში, მან უნდა შეძლოს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან (კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე) თემატურ პოლემიკაში ჩართვა კლასიკური ფილოლოგიის პრობლემურ საკითხებზე უცხოურ (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ან რუსულ). ენაზე იგი შეძლებს აუდიტორიის სპეციფიკის გათვალისწინებით გადასცეს თავისი ცოდნა, ლოგიკურად და მისაწვდომად ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრებები.

სწავლის უნარი - დოქტორანტმა უნდა გამოამჟღავნოს მზაობა არჩეულ სპეციალობაში ახალი სამეცნიერო იდეების გენერირებისა და განვითარებისათვის, რაც დამყარებული იქნება სამეცნიერო ლიტერატურის უახლეს მიღწევებზე. ასეთი სახის **მზაობა** მას უნდა ჰქონდეს სწავლის, საქმიანობისა და კვლევის პროცესში.

ღირებულებები - დოქტორანტს უნდა გამოუმუშავდეს განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი; ადამიანების მოტივირებისა და საერთო მიზნებისაკენ წარმართვის უნარი; სოციალური პასუხისმგებლობითა და სამოქალაქო თვითშეგნებით მოქმედების უნარი; ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე ქცევის უნარი, აკადემიური პატიოსნება. მან უნდა შეძლოს ამ ღირებულებათა დასამკვიდრებლად გზების კვლევა და ინოვაციური მეთოდების შემუშავება. ამის მიღწევაში მას დაეხმარება შესასწავლ დისციპლინათა ის ნაწილი, რომლებშიც ნათლადაა გამოკვეთილი ჰუმანისტური ტენდენციები(ლიტერატურა, ფილოსოფია და ა. შ.).

ს ა გ ნ ე ბ ი	ანტიკური ლიტ. პროზა. საკითხები	ინტენსიური კითხვა:მკ.იზრმ. და რომ.ავტორი	სამეცნიერო სემინარი	კვლევა. თანამ. მეთოდები	სწავლების თანამედროვე მეთოდები	პედაგოგიური პრაქტიკა	მეორე უცხო ენა	ანტიკური ფილოსოფია	კოლოქვიუმები	პუბლიკაციები	დისერტაცია	ანტიკური ქვეყნების ხალხთა ეთნოლოგია	ანტიკური ხელოვნება და არქეოლოგია	ანტიკური ლიტერატურის ესთეტიკა	ანტიკური ქვეყნების ისტორია	ანტიკური სამყაროს ქალაქები	ანტიკური. და ძველი საქართველო	ანტიკური ხელოვნების ფილოსოფია	სამეცნიერო წერის საფუძვლები	ლიტერატურული კომპარატივისტიკა	უცხო ენა	სხვასადა.პროგრამ.მოსმ.სადოქ. კურსები	ანტიკური ცივილიზაცია
ცოდნა, გაცნობ.	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
ცოდნის პრაქტ. გამ.	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
დასკვნის უნარი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
კომუნიკაციის უნარი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
სწავლის უნარი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
ღირებულებები	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+

დარგის სწავლების მეთოდოლოგიური მოდული(15 კრედიტი-სავალდებულო)

N	საგნის დასახელება	საგნის სტატუსი	კრედიტების რაოდენობა	კრედიტების რაოდენობის განაწილება სემესტრების მიხედვით						გამოცდა						
				I	II	III	IV	V	VI	I	II	III	IV	V	VI	
1.	დარგის კვლევის თანამედროვე მეთოდები	სავალდებულო	5	5							+					
2.	სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები	სავალდებულო	5		5						+					
2.	პედაგოგიური პრაქტიკა	სავალდებულო	5				5						+			

სასწავლო მოდულთა კრედიტების საერთო რაოდენობა: 60 კრედიტი

კვლევითი კომპონენტი (120 კრედიტი-სავალდებულო)

N	შესასრულებელი სამუშაოს დასახელება	საგნის სტატუსი	კრედიტების რაოდენობის განაწილება სემესტრების მიხედვით						კრედიტების რაოდენობა
			I	II	III	IV	V	VI	
1.	დოქტორანტის კოლოკვიუმები	სავალდებულო		5	5	5	5	10	30
2.	კვლევის შედეგების პუბლიკაცია და კონფერენციებში მონაწილეობა	სავალდებულო		5	5	5	5	10	30
3.	სადისერტაციო ნაშრომის შესრულება და დაცვა	სავალდებულო							60

სასწავლო და კვლევითი კომპონენტების კრედიტთა საერთო ჯამი: 180 კრედიტი
საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური და რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტსა და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში, რომლებიც აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით და უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ტექნიკით.

სადოქტორო პროგრამის განსახორციელებლად მატერიალურ რესურსს შეადგენს:

-2 კომპიუტერი

-2PC

-1 ოვერჰედპროექტორი

-1 ასლის გადამღები აპარატი

-1 სკანერი

-1 მაგნიტოფონი

-51 ტელევიზორი

-1 ვიდეომაგნიტოფონი

-1 CD PLAYER

-1 ფაქსის აპარატი

-1 პროექტორი (Bemer)

- 1 სატელიტის მიმღები

-12 ვიდეო-DVD

-1 პრინტერი

-მუსიკალური ცენტრი

-კასეტები (ვიდეოთეკა)

ასევე:

-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული რესურსცენტრი

-უნივერსიტეტის კომპიუტერული რესურსცენტრი

მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის არსებობს უახლესი სამეცნიერო (ასევე მხატვრული) ლიტერატურა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

მისაღები დოქტორანტების რაოდენობა:

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე შესაძლებელია 3 დოქტორანტის მიღება.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ჩამონათვალი:

პროგრამის ხელმძღვანელები:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნ.ჩიხლაძე

აწესუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური და რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის სრული

პროფესორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ტელ. +995-431- 24 -31-65

599 95 29 97

+995 431 24-38-33 (ფაქსი)

e-mail: chikhladzen@mail.ru

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ზ. ლილუაშვილი

აწესუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური და რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის სრული

პროფესორი

ტელ. +995-431- 24 -56-67

593 39 30 33

+995 431 24-38-33 (ფაქსი)

e-mail: zzl-li@yahoo.com

პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ო. ლანჩავა

აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი

ტელ.+995 431 24 57 82

599 22 35 57

+995 431 24-38-33 (ფაქსი)

e-mail: omarilanchava@gmail.com.

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. მ. ებანოიძე

აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი

ტელ: +995 431 29 06 33

593 73 98 83

e-mail:mirianebanoidze1973@gmail.com

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ი. კროტენკო

აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სლავისტიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი

ტელ.: +995 43124 09 05

577 44 82 84

e-mail : iraidakrotenko@rambler.ru

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ი. ბასილაძე

ტელ.: +995 431 24-99-10

599-24-72-40

e-mail: imeri_basiladze@yahoo.com

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორ. ვ. ოცხელი

აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სლავისტიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი

ტელ: +995 431 24 20 45

5565246

e-mail: vera.ozheli@yandex.ru

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ე. ქორიძე

აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი

ტელ: +995 431 24 59 66

599 96 84 80

e-mail: elisso.koridse@gmail.com

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნესტან კუტივაძე

აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი

ტელ.: 599 46 48 87;

e-mail: n.kutivadze@yahoo.com

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ე. გაჩეჩილაძე
აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური და რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი

ტელ: 8431 22 19 72

593 37 29 76

e-mail: ekagach@yahoo.fr

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ომარ ნიშნიანიძე
აწსუ ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიისა და პოლიტოლოგიის დეპარტამენტის ასოც.
პროფესორი

ტელ: 599 58 30 75

e-mail: kolkha91@hotmail.com

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მერაბ ჭუმბურიძე
აწსუ ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ასოც.
პროფესორი

ტელ. +559 431 24-86-25

59398-26-79. ელ. ფოსტა -

e-mailmerab-chumburidze@rambler.ru

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი დავით შავიანიძე
აწსუ ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ასოც.
პროფესორი

ტელ: 599 49 47 70;

E-mail: okribelishvili@mail.ru

ასისტენტ პროფესორი ნუნუ ჩარკვიანი
აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ენის დეპარტამენტი

ტელ. +995 431 27-15-43;

557 533700.

სადოქტორო პროგრამის განხორციელება ხდება შემდეგი პარტნიორი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებების ხელშეწყობით:

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი

შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:
 - ა) შუალედურ შეფასებას;
 - ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.
5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.
6. შეფასების სისტემით დასაშვებია:
 - ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
 - ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
 - ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
 - ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
 - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
 - ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;
 - ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:
 - ბ.ა) (FX) ვერჩააზარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ

სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ

სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური

შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა. სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

დოქტორანტის ცოდნის შეფასების სისტემა:

დოქტორანტის აკადემიური მოსწრების შეფასება ცალკეულ დისციპლინებში შეიძლება ხორციელდებოდეს სხვადასხვა აქტივობების მიხედვით, როგორებიცაა: შუალედური გამოცდები, ფინალური გამოცდა, მიზნობრივი წერითი ნაშრომის შესრულება, ინდივიდუალური დავალება და სხვა. შეფასების კრიტერიუმები განსხვავდება ცალკეულ დისციპლინათა სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგნების სილაბუსებში.

პედაგოგიური პრაქტიკის შეფასება ხდება აკადემიური საბჭოს 2011 წლის 28 აპრილის #76 (10/11) დადგენილებით განსაზღვრული პედაგოგიური პრაქტიკის უწყისის ფორმის მიხედვით.

სემინარების და კოლოქვიუმების შეფასების დროს დგება შესაბამისი ოქმი, რომელშიც მიეთითება დოქტორანტის მიერ მიღწეული წარმატებები. შეფასების დროს ყურადღება მახვილდება წარმოდგენილი მოხსენების შესრულების დონეზე, ნაშრომის პრეზენტაციისა და დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხების ხარისხზე და ა.შ.

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება აწსუ აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ნოემბრის #17 (09/10) დადგენილებით „სადოქტორო დოსერტაციის შეფასების კრიტერიუმების“ შესახებ.

სხვა სასწავლო თუ კვლევითი აქტივობ(ებ)ის (მაგ. სტატიის) მიხედვით კრედიტის ათვისება დასტურდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წარდგინებით, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ერთობლივი დასკვნის საფუძველზე.

სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი კომპონენტის კრედიტის აღიარება ხდება აწესდემიური საბჭოს სპეციალური დადგენილებით.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სისტემა:

- ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

სადისერტაციო კომისიის თითოეული წევრი დისერტაციას აფასებს ზემოაღნიშნული სისტემით.

- ა) სადისერტაციო კომისიის წევრთა შეფასებებს შეესაბამებათ რიცხვები 1-დან 7-მდე, შესაბამისობის შემდეგი სქემით:
1 - „სრულიად არადამაკმაყოფილებელი”, 2 - „არადამაკმაყოფილებელი”, 3 - „დამაკმაყოფილებელი”, 4 – „საშუალო”, 5 - „კარგი”, 6 - „ძალიან კარგი”, 7 - „ფრიადი”.
- ბ)გამოითვლება აღნიშნული რიცხვების საშუალო არითმეტიკული E ;
- გ) E განისაზღვრება, როგორც E – თან უახლოესი ნატურალური რიცხვი (თუ E არის n , 5 სახის, მაშინ E განისაზღვრება $n + 1$ – ის ტოლად)

- დ) საბოლოო შეფასება არის E რიცხვის შესაბამისი შეფასება ა) პუნქტში მოცემული სქემის მიხედვით, თუ კომისიის წევრთა არანაკლებ $2/3$ –ისა ნაშრომს შეაფასებს დადებითად (ე.ი. არ შეაფასებს „სრულიად არადაამაკმაყოფილებელი” – ით ან „არადაამაკმაყოფილებელი” –ით)
- ე) საბოლოო შეფასება არის „არადაამაკმაყოფილებელი”, თუ კომისიის წევრთა $1/3$ –ზე მეტი ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და $E = 2$.
- ვ) საბოლოო შეფასება არის „სრულიად არადაამაკმაყოფილებელი”, თუ კომისიის წევრთა $1/3$ ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და $E = 1$.

პროგრამის ხელმძღვანელები: პროფ. ნ. ჩიხლაძე, პროფ. ზ.ლილუაშვილი